<u>განმარტება</u> :

1. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
წარმოადგინეთ დღევანდელი მდგომარეობით გადაღებული ფოტოსურათები გადაღების თარიღის დაფიქსირებით.

პასუხი:ფოტოები იხილეთ შესაბამის ველში.

2. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
კ-1 კოეფიციენტში დამატებით შეიყვანეთ ,,ი-ზ“ ღერძებში მდებარე ფართობი, ,,ა“ ღერძზე მდებარე კედელი, ეზოში განთავსებული საყრდენი კედლები და კიბის საფეხურები.

პასუხი: საქმე იმაში მდგომარეობს ,რომ მერიის არქიტექტურული სამსახურის შეთანხმებული პროექტის მიხედვით 0,00 ნიშნულის სართული-რომლის მიხედვითაც დაანგარიშდა კ1-ის მაჩვენებელი ცვილილება არ შეხებია და დარჩა იგივე.

3. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
.. კ-2 კოეფიციენტში დამატებით შეიყვანეთ +19,40 ნიშნულზე მდებარე საზაფხულო ფართობი (,,გ-დ“ ღერძებში) 1/3-ით.

პასუხი: მოხდა ახლიდან გადაანგარიშება და ზემოაღნიშნული ფართი დაემატა კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართს 1/3-ით (8,7 კვ.მ) და ჯამურმა საანგარიშო ფართმა შეადგინა 2364.1./669=3.5

4. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
წარმოადგინეთ კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის კროკები, რომლის წარმოდგენის შემდგომ მოხდება ველის გადამოწმება.

პასუხი:მოხდა კროკების ცალკე გამოტანა კად ფაილში და იქვე დაანგარიშებაც.

5. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: ვინაიდან მოხდა კ-2 კოეფიციენტის ფართობის მატება, დამატებით გადაიხადეთ მხოლოდ მომატებული კ-2 კოეფიციენტის ფართობის მაჩვენებლის შესაბამისად 1 კვ. მ_ზე 4 ლარის ოდენობით.

პასუხი: მოხდა ახლიდან გადაანგარიშება და სხვაობამ შეადგინა 8,4 კვ.მ, რომელიც 4-ზე გადამრავლებით იძლევა მოსაკრებელის დამატებას 34,8 ლარს.

6. წარმომადგენელის არსებობის შემთხვევაში მინდობილობა/რწმუნებულება. -> .მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი. :
საჭიროა წარმოდგენილი იქნას განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

პასუხი: შესაბამის ველში გიგზავნით განახლებულ მინდობილობას დამოწმებულს ნოტარიალური წესით.

პატივისცემით: გიორგი გურგენიძე